

# ლელო


1972 წ. № 234 26 ნოემბერი, 330 რაიონი, (4744) 26 შანი 3 აპა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კომუნისტური რესპუბლიკური საბჭოს ორგანო  
**ЛЕЛО** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გადმოვიდა 1984 წლის 18 აპრილიდან



## გირაქაძე ოთხი ლაღარია!



დაწითლდა ბრძოლაში ტოლი არ ჰყავდა მსოფლიო ჩემპიონის იენი-ორთა შორის, ერევნულ ა. კარაქი-ანს, აღსანიშნავია ჩვენი სომეხი მეგობრების თვალსაზრისით პროგრესი ფარეკობის სხვადასხვა სახეობაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა სომეხეთში ნორჩი და მოზარდი მოფარეკეების აღზრდას. ამ შეჯიბრებაში ისინი ტექნიკურად, ლამაზად ფარეკობ-დნენ.

რაც შეეხება აზერბაიჯანის მო-ფარეკეებს, მათ კიდევ დიდი შრომა მართებთ სპორტული ელ-სის ასამაღლებლად.

ორიოდე სიტყვა შეჯიბრების მასპინძლებზე. ჩანს, ისინი წლებულს გულხელდაკრული არ ყოფილან, რაც ამ შეჯიბრებაშიც გამოჩნდა. განსაკუთრებით გვასახლეს ვაჟე-ბიდან ა. აფციური, ტ. ნოზაძე (რაბარა), გოგონებიდან ნ. ლაბაძე და დ. ჩიქოვანი. ოთხივე სპორტ-სმენი, ახალგაზრდული ასაკის მი-უხედავად, საქმიან კვალიძეუ-რად ფარეკობს. გვარობით, ისი-ნი არც მომავალში გაგვიცრუებენ-ძენ.

**ა. პოპალი,**  
სპორტის ოსტატი.

ოთხი დღის შემდეგ საქარ-თველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კლუბში „სპორტ-ლოტოს“ 33-ე ტირაჟი მოეწყ-ობა. საქართველოს ზონალური სამმართველო გულმოდგინედ ემზადება ამ ტირაჟისთვის. პო-პულარული თამაშის მოყვა-რულეს საინტერესო სიახლე ელით: „სოფლები“ ცხუ-რებში საზოგადოებრივი გამო-ვრცელებებისგან შევიძლიათ იყიდოთ „სპორტლოტოს“ ცხო-ბარი-ცხრილი, რომელშიც მი-თითებულია განვლილი ორი წლის მანძილზე გათამაშებუ-ლი ყველა იღვლიანი ნომერი.

გუშინწინ „სპორტლოტოს“ სა-ქართველოს ზონალურ სამმართველოში ცნობილი გახდა შედე-გები 32-ე ტირაჟისა, რომელიც კურსკში ჩატარდა. ჩვენი რეს-პუბლიკიდან ოთხმა კაცმა გა-მოიწინა სპორტის ხუთი სახე-ობა. თითოეული მათგანი 3486 მანეთს მიიღებს. 270 კაცი მო-იგებს 56-56 მანეთს — ესენი „ოთხოსნები“ არიან. 5219 კაც-მა სამ-სამი სახეობა ამოიციო. ისინი 3-3 მანეთს მიიღებენ.

რიგის 29-ე ტირაჟში „სპორ-ტლოტოს“ აბსოლუტური რე-კორდი დამყარდა: ქალაქ ყდა-ნოვში კოლექტიურად ითამაშა ორმა ოჯახმა — მასლოვსკისე-მა და ბუტორჩენკოვსკისე-მა. მათმა მოგება 24016 მანეთი შეადგო-ნა.

„სპორტლოტოს“ ყველა მოყ-ვარულს ვიწვევთ 33-ე ტირაჟ-ზე, რომელიც საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამით გადაიცემა.

**ი. ლოპატინი,**  
„სპორტლოტოს“ საქართვე-ლოს ზონალური სამმართვე-ლოს ინსტრუქტორი.

## „უმაღლესი პილტაჟი“

სწორედ ასე შეიძლება ყველაზე ხუ-სტად უწოდო სსრ კავშირის, ბულგარე-თისა და პოლონეთის აერობატა გუ-შინწინ მოსკოვის ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში დამთავრებულ საერთაშორი-სო შეჯიბრებას — სსრ კავშირის მფრი-ნავე-კოსმონავტიკის ვ. ვოლკოვის I მე-მორიალს.

შოასპარზე ქალები ძალიან დიდი ჰების ღირსნი არიან. სამმა საბჭოთა სპორტსმენმა ნ. მასლობოიშვიტამ (38,45 ქულა), ვ. ჩუბარევა (38,3) და ნ. ტაშოვსკამ (38,1) ფინალური სტომის დროს უნიკალური ვოლუმები შეასრულეს — გაღუნვით ორმაგი უკუ-მალაყი. ეს ელემენტი ამ ბოლო დრო-მდე მხოლოდ აერობატ ვაჟებს ემორ-ჩილებოდა. სწორედ შემოღობული თანმიმდევრობით გაინაწილეს ქა-ლებმა საპრიზო ადგილები.

18 წლის მასლობოიშვიტა (ტო-ლიატი) საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გამოტყდა, რომ თავდაპირ-ველად ძალიან ეშინოდა ბერძენი ამ „კოსმოსის მოსატყვის“ ილეთის გაყვება.

მემორიალის ბოლო დღეს გაიმარ-თა ასპარეზობა პროგრამის კიდევ ერთ სახეობაში — ჯგუფურ ვარჯიშ-ში. I ადგილი დაიკავეს რსფსრ-ს წა-რმობადგენლებმა ბ. ზამოვა, ა. სავე-ლიევა, ვ. ბიკოვა და მ. კრუკლია-კოვა — 37,8 ქულა. II საპრიზო ადგილზე მოლდავეთის გუნდი გავიდა — 37,25, III ადგილზე არიან პო-ლონელი აერობატები — 36,1.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყვე-ლას ავობეს რსფსრ-ს წარმომადგენ-ლებმა. შემდეგ მოდიან ბულგარეთი-სა და პოლონეთის ნაკრები კოლექ-ტივები.

სსრკ  
**50**  
ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მემორიალი თამაშები  
**იმედს არ გაბვიცრუებენ**

სულ ახლან ახალგაზრდა ქარ-თველი მოფარეკეები მასპინძლო-ბდნენ თეიანთ სომეხ და აზერბაი-ჯანულ კოლექტებს. უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის მომქმ რეს-პუბლიკების მუშეკრები კარგა ხანია არ შეხვედრიან ერთმანეთს ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში. ამიტომ, ბუნებრივია, ასპარეზობამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

რა გვიჩვენეს ახალგაზრდა მო-ფარეკეებმა? პირველ ყოვლისა დიდი მონდობა, საქმიან მრავა-

ლტერობანი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი. ვერ ვიტყვით, თითქოს მათს გამოსვლებში არ იყო ტიპური ხარვეზები, მაგრამ ეს, მოგვსენე-ბათ, საყოველთაო „საქმიანო სენია“.

ჩვენი რესპუბლიკის მოფარეკე-ების უპირატესობა აშკარა იყო. მა-სპინძლებმა სტუმრებს გუნდურ ტურნირში არც ერთ სახეობაში არ დაუთმეს პირველობა, ხოლო ზე-რად შეჯიბრებაში ოთხი პირველი ადგილიდან მხოლოდ ერთი დაკარ-გეს.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომი-ტეტის, სპორტსაზოგადოებათა საბჭოსა და სპორტის მინისტრის, საუწყებო ფიზიკულ-კულტურის ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საუბრადგამოც  
28-29 ნოემბერს თბილისში, საქადრეკო კლუბის ახალ შენობაში (კიროვის სახელობის პარკი), ჩატარდება რესპუბლიკური თათბირ-სემინარი წლიური ანგარიშგების ახალი სტატისტიკური ფორმების შემოღებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა უნ-და მიიღონ ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსა-ზოგადოებათა საბჭოების თავმჯდომარეებმა, საუწყებო ორგანიზაცი-ების წარმომადგენლებმა, განათლების ორგანოების მუშაკებმა.

გეგმვით თან იქონიით საქირი მასალები კამათში მონაწილეო-ბის შესაძლებლად.

მეგობრების ბარჯები ეცისრებათ თათბირ-სემინარში მონაწილე შესაბამის ორგანიზაციებს.

გთავაზობთ პრიზობითა სამეუ-ლები:

ქალები. 1. ნ. ლაბაძე, 2. დ. ჩიქოვანი (ორივე — საქართვე-ლო), 3. ვ. ავაგანიანი (სომხეთი);  
ვაჟები. რაბირბ. 1. ა. აფციური, 2. ტ. ნოზაძე (ორივე — საქართვე-ლო), 3. ა. ავაგანიანი (სომხეთი).  
ხმალი. 1. ა. კინაძე (საქართველო), 2. ა. ავაგეცივი (აზერბაიჯანი), 3. ა. ლომიძე (საქართველო).  
დასწნ. 1. ა. კარაქიანი (სომხეთი), 2. ვ. ქათამაძე (საქართველო), 3. ს. ნა-ბევი (აზერბაიჯანი).

**გუნდური.** 1. საქართველო, 2. სომხეთი, 3. აზერბაიჯანი.

სურათზე: შეჯიბრების მო-მენტი.  
მ. ზარგარიანის ფოტო.

● რიმა, 24 ნოემბერი. ასუჯრიან შაში აქ მიმდინარე საქართველო ჩემ-პიონატის ერთპირობული ლიდერი გა-ხდა ადგილობრივი დიდოსტატი ა. ან-დრეიკო. მან შედიგლ ხუთი პარტია მოიკო, რაც მსოფლიოს უქს-ჩემპიონის პრაქტიკაში საქმიან იშვიათად ხდება. ბოლო პარტიებში ანდრეიკომ დაა-მარცხა ვ. ავაგანიანი, მ. შაველი და ვ. შერინი, 9 ტურის შემდეგ 7,5 ქულა დაუგროვდა და ქულათ უსწრებს უახლოეს მდგვარს, მინსკელ ა. განტარგს. ჩემპიონატის სტარტზე ყაიმების სერიის შემდეგ საბრძოლოდ განწყო ვ. შო-გოლევი, რომელმაც ვ. ბელორიკი და ა. ბეშვერძენით დაამარცხა, განტარგს კი დაუსადა. შოგოლევა და ვ. კორსოვა 5,5-5,5 ქულა დააგროვეს. ი. კე-პერმანს, ლ. სლობოდკოს, ნ. შიშჩანსკისა და ვ. ვეიცმანს 5-5 ქულა აქვთ.

● კალაშნიკი, 24 ნოემბერი. ფიგურულ ცეკვარობაში სსრ კავშირის თასი ვაჟთა შორის მოხვეჭა მოსკოველმა ს. ჩეტკერტინმა, რომელმაც სამიქილა 267,225 ქულა დააგროვა (ადგილებს ჩამი — 7). II ადგილზე გავიდა ს. ვოლოკოვი (რსფსრ) — 259,375 (15), ზოლო III — ი. ოკრინი-კოვი (ლენინგრადი) — 256,125 (20).

● ქაპანა, 24 ნოემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორმა — ვილინუსის „კიბორცების“ კალათბურთელ ქალთა გუნდმა თავისუფლების კენჭულზე ოთხი შეხვედრა გამართა მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან და ოთხივე მოიგო — 50:42, 48:47, 61:46, 65:51.



# პირველი ჩემპიონები

სსრკ-ის ოფიციალური დაბადების თარიღია 1938 წლის 16 ნოემბერი. ამ დღეს ფიზი-კულტურისა და სპორტის საქართველო კომიტეტის ბრძანებით სამბო სპორტის სახეობად აღიარეს. გავიდა წლები და ჰიდაობის ამ სახეობამ მტკი-ცვლ მოიკიდა ფეხი ჯერ საბჭოთა ქვეყანაში, მერე კი უცხოეთშიც. 1966 წელს ჰიდაობის საერთაშო-რისო ფედერაციის კონგრესზე, რომელიც აშშ-ს ქალაქ ტოლდოში ჩატარდა, სამბო მსოფლიო სარბიულზე გავიდა. მომდევნო წლებში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოეწყო რიგაში, მოსკო-ვში, სოჭსა და ტაშკენტში.

დადგა ევროპის პირველი ღია ჩემპიონატის

დღევ. 24 ნოემბერს რიგაში კონტინენტის ჩემპი-ონის ტიტულისთვის ბრძოლაში ჩაებნენ ბულგარე-თის, დიდი ბრიტანეთის, ირანის, ესპანეთის, შო-ნელოეთის, იაპონიისა და სსრ კავშირის უძლიერე-სი ათლეტები.

პირველ დღეს გათამაშდა ოქროს სამი შედალი. ლენინგრადელმა ვ. კიულენენმა (უშჩატსინი წონა) ქულაებით დაამარცხა მოსკოლი მ. პუშკაყა. ოდესელმა ვ. რუხლიაძემ (მეორე საშუალო წო-ნა) წმინდად მოუკო იევოსლაველ მ. ბაიჩე-ტიჩს. სვედლოვსკელმა ა. ფიოდოროვმა (პირ-ველი ქვესაშუალო წონა) კი ფარ-ხალი დააყრე-ვინა ჩ. უგუნკიუს (მონოკლეთი). დღის პირ-ველ ნახევარში სამივე საბჭოთა მოქიდავეს უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლები.

სალამის ცნობილი გახდა პირველი ჩემპიონების ვინაობა.

ვ. კიულენენმა ფინალში 5 წუთსა და 16 წამში მოუკო ბულგარულ პ. პარვანოს და ოქროს მე-დალი დაისაკურთა. შემდეგ ა. ფიოდოროვის ჯე-რიც დადგა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან მტკიენ-ულ ილეთზე „დაიჭირა“ იაპონელი გ. კურამიტო. ეს შეჯიბრება სარეკორდოდ ცოტა ხანს — 39 წამს გაგრძელდა.

ვ. რუხლიაძევის მეტოქე ფინალში ძიუდოსიტა სამი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზორი, იაპონელი ნ. სატო იყო. გამოცდილმა სტუმარმა უფრო აქ-ტიურად იჭიდავა და ოქროს მედალიც მას დარჩა. გუშინ გათამაშდა კიდევ ოთხი ოქროს მედალი.



ქართული საბჭოთა სპორტის ისტორიიდან

# ასე თაგაუობდნენ...

საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭომ 1924 წლის ოქტომბერში შექმნა თბილისის ფიზიკულური საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. სუხიშვილი, ხოლო მდივანად ს. კვიციანი. საბჭომ თავიდანვე ჩამოაყალიბა თბილისის ფიზიკურთულთა გუნდი, რომელიც შეკრებილა მალე ჩაება.

19 ოქტომბერს ლენინის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მცხეთის „არაგვი“ და გორის „გლეხი“. არაგველებმა ვერ დაძლიეს გორის გუნდის მცველთა წინააღმდეგობა. მოგება წილად ხვდათ ორგულმა — 1:0.

11 საათზე იმვე სტადიონის სარბიელზე გამოვიდნენ „გაბრილი“ და ქართული მუშაკის გუნდი. გამარჯვება „გაბრილი“ — 3:2. პირველ საათზე კი დაიწყო მატჩი თბილისის გუნდსა (ყოფილი „კიმი“) და 21-ე სკოლის წარმომადგენლებს შორის. ორივე კოლექტივი საკმაოდ ძლიერი იყო. გამარჯვებულები 21-ე სკოლის ფეხბურთელები — 2:0.

შეიქმნა სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყოფილი საბჭოთა მოსამსახურეთა) გუნდი და მთავარი სახელოსნოების კოლექტივი. დაძაბულ ბრძოლაში ორჯონიკიძის სახელოსნოს გუნდმა იმარჯვა. უფრო უსუსტი ცნობად იტყობა არ არის.

ფიზიკულური საბჭოსთან არსებული ვერცხვითი ლიგის თაოსნობით ტარდებოდა საავტომატო შეხვედრები, რომლებზეც დასწრება უფასო იყო. ასეთი შეხვედრები გაიმართა 2 ნოემბერს, როცა მინდორზე გამოვიდნენ თბილისის პირველი რაიონისა და საარტილერიო ნაწილის გუნდები. მატჩი მოიგო პირველი რაიონის გუნდმა — 3:1.

ნივიათი სანახაობის მოწმენი გახდნენ სპორტის მოყვარულნი, როცა ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლექტივისა და უნივერსიტეტის პირველი გუნდის მატჩი დაიწყო. თამაში ცოცხალი და ხალისიანი ყოფილა. თურმე ძნელი იყო ტექნიკის მხრივ უპირატესობა რომელიმე თვის მიგვიჩვენებოდა. ორჯონიკიძის სახელოსნოს გუნდის კაპიტანი იყო დ. მდივანი, უნივერსიტეტისა კი ა. შორდანი. თამაში ძალიან გამწვავდა. აი, მდივანის გუნდმა იერიში მიიტანა მეტოქეზე და გოლიც გავიდა. სულ რამდენიმე წუთში შორდანის გუნდმა საპასუხო ბურთი გაიტანა. საბოლოოდ თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3.

დასწრის მოწმობით, „კაპიტან“ შორდანის დარტყმა მოკვეთილი და მოსოშილი იყო, როგორც გასროლილი ტყვია. ნივიათი იყო მისი კუთხური და მობრუნებული დარტყმა. მის მიერ საჯარიმო, შურდულივით გატყორცილებული ძვირად თუ დაიჭირს გოლერი.

12 ნოემბერს ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრის შედეგი უცნობია.

ფიზიკულური უმაღლესი საბჭომ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა. თბილისში დაარსდა ფიზიკური კულტურის ცენტრალური სკოლა ამიერკავკასიის მასშტაბით, 150 კაცისთვის. ამავე დროს, ფიზიკულურა ყველა სკოლაში სავალდებულო სახად შეიქმნა. ბათუმში პირველად გაიხსნა ცურვის ცენტრალური სკოლა 50 კაცისთვის. ფიზიკულური უმაღლესი საბჭომ 21-ე სკოლასთან სამეცნიერო-საიდგლო კაბინეტი გახსნა. დაარსდა ფიზიკური კულტურის გამოცემლობა და სხვ. ყველა თბილისში, სტადიონი და დარბაზი თბილისის ფიზიკულური საბჭოს გადაეცა.

ცხოვრება წინ მიდიოდა, ისახებოდა ახალი ამოცანები. შეიცვალა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიც. ამჯერად აქ აირჩიეს სტურუა (პრეზიდიუმის თავმჯდომარე),

აბაზაძე (მდივანი), გერასიმოვი, პიტერსკი, თამარ გაბარაშვილი, კრეტიანი და მელინიკოვი (წევრები).

8 ნოემბერს ფიზიკულურის თბილისის საბჭოს მოედანზე (ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზო) ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის პირველი რაიონისა და ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდები. დაძაბული თამაში დამთავრდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ — 3:2.

9 ნოემბერს უნივერსიტეტის პირველი გუნდი რკინიგზის მთავარი სახელოსნოს კოლექტივს შეხვდა. გამარჯვებულები უნივერსიტეტელები — 2:0.

ამ დღეს მეორე მატჩი გაიმართა 21-ე სკოლისა და ორჯონიკიძის სახელოსნოს გუნდებს შორის. 21-ე სკოლა, რომელმაც პირველი შეხვედრები დაიწყო ანკარიში წააგო (0:6), ახლა რევაზის აღებას ცდილობდა.

ამ დროს ორჯონიკიძის გუნდის თამაშში ჩაერთა საკულტურო ფეხბურთელი ბ. კულვიცი, რომელიც ცენტრში გამოდიოდა. მანამდე კულვიცი არ ჩანდა, ვინაიდან ფეხბურთის ლიგას მისთვის აუკრძალავს თამაში, მაგრამ შემდეგ ეპატა თურმე და გუნდში დააბრუნეს. გამარჯვებულები ორჯონიკიძელები — 4:0.

თბილისში ხმა დაირხა: დეკემბერში საქართველოში ჩამოიღეს სარკოვის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც პირველი პრიზი მიიღო 1924 წლის საკავშირო შეხვედრაში. მართლაც, სარკოვის ნაკრები ამ დროს დაპირებულნი ჰყავდა ამიერკავკასიის, ლენინგრადის, მოსკოვისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. სარკოვლთა კოლექტივი შედგებოდა ნოროვი, ლაშუნიკო (კაპიტანი), ვინიკოვი, ფომინი, პრივალოვი, კახაკოვი, იოსელიანი, მაკევი და სხვ.

თბილისის ფიზიკულურის საბჭომ მოსამზადებლად 1700 მანეთი გაიღო და ზოგიერთი გამოხატვის კი დაუშვა. მაგალითად, სამხედრო პოლიტიკური სკოლის ფეხბურთელი გ. ქსენოფონტოვი უხუში თამაშისთვის სეზონის ბოლომდე დისკვალიფიცირებული იყო, მაგრამ მას სარკოვის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის უფლება მიეცა.

სარკოვლებთან თამაშამდე კი, 23 ნოემბერს, ლენინის სახელოსნოს სტადიონზე გაიმართა თბილისის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრები. ერთმანეთს ხვდებოდნენ ორჯონიკიძის სახელოსნოს გუნდი და უნივერსიტეტის მეორე კოლექტივი. გამარჯვება პირველმა — 12:0.

მინდორზე გამოვიდნენ თბილისისა და უნივერსიტეტის პირველი გუნდის ფეხბურთელები. თამაში მტკადა დაძაბული იყო. მატჩზე დასწრე უცნობი კორესპონდენტი გადმოგვიცხვ: „თამაშის სიმაფურე უმაღლესი წერტილის მიაღწია, მეორე ტაიმი გახშირდა ერთმანეთისთვის კვანძის დადება და მუკლუბი ორივე მხრიდან.

თბილისის ფეხბურთელთა გუნდი მთავარ მამებებს დასიანების გამო თითქმის განახევრდა. ასეთ პირობებში შეხვედრის გაგრძელება შეუძლებელი იყო და მსაჯულმა შეწყვიტა თამაში.“

თბილისის ფიზიკულურის საბჭოს ლიგამ სარკოვის გუნდთან შესახვედრად ჩამოაყალიბა ნაკრები შემდეგი შემადგენლობით: მეკარე მ. ბაღდოვი (უნივერსიტეტი), მცველები — მ. ფილიპოვი (ს. ორჯონიკიძის სახ. გუნდი), პერეპეტალიძე (პრუსის“ ნაკრები); პატიკევი — ანტონ გონელი (ს. ორჯონიკიძის სახელოსნოს გუნდი), ა. ქსენოფონტოვი (უნივერსიტეტი), გ. ქსენოფონტოვი („გურუსის“ ნაკრები), მარჯვენა გარემარბი ვ. ფილიპოვი (ს. ორჯონიკიძის სახ. გუნდი), მარჯვენა ნახევარმცველი მდივანი (ორჯონიკიძის სახ. გუნდი), მარცხენა ნახევარმცველი ვ. ამბოკაძე (უნივერსიტეტი), ცენ-

ტრის მოთამაშე ბ. კულვიცი (ორჯონიკიძის სახ. გუნდი), მარცხენა გარემარბი ნ. კრავიჩენკო (ორჯონიკიძის სახ. გუნდი).

ფიზიკულურის ლიგამ გადაწყვიტა სარკოვლებთან სათამაშოდ.

თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ელოდნენ სარკოვის და ადგილობრივი გუნდების შეხვედრას. და აი, 28 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა კიდევ სარკოვის ნაკრები, რომელსაც სამი მატჩის ჩატარება ჰქონდა გადაწყვეტილი.

მამინდელი ქართული პრესა ასე მოეხმარა ამ ამბავს: „ეს მტკადა დიდი მოვლენაა თბილისელ სპორტსმენთა ცხოვრებაში, რადგან სარკოვის გუნდი ერთი საკულტურო სკოლა საბჭოთა კავშირში, ამას წინათ ამ გუნდმა პირველი ადგილი დაიჭირა. ეს გუნდი ახალგაზრდა ძალ-ღონით სავსეა, თავდადებული და კოლექტიურად შედუღებული. სტადიონზე თამაშის დროს ისინი (გუნდის წევრები) „გრძნობენ ერთმანეთს“, თამაშის დროს წარმოადგენენ ერთ მიძრავ ტალღას, რომელიც თანაბრად იძლევა როგორც შეტევას, ისე უკანდახვევის დროს. ერთმანეთთან შეთანხმება, შევება, ერთმანეთის ცოდნა სარკოვლებს უადრეს წერტილამდე აქვთ განვითარებული და თამაშის დროს ასეთი კოლექტიური ტექნიკის წყალობით ისინი ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიან.“

პირველი მატჩი სარკოვის ნაკრებსა და კოსტავინის გუნდს შორის გაიმართა. მოლოდინი მართლაც გამართლდა. სარკოვლები ბრწყინვალედ თამაშობდნენ. დამსწრეთა აღწერით, თბილისის კომპაგნიის გუნდი შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ მანაც დამარცხდა. გამარჯვებულები — 11:2 (2:0).

მეორე მატჩი სარკოვლებმა გამართეს თბილისის უნივერსიტეტის გუნდთან, რომელიც გაიცოცხლები ძლიერი იყო კომპაგნიურად კოლექტიურზე. თამაში ცოცხალი დაიწყო. თბილისელთა მხრივ იერიში იერიშს მოსდევდა. შემდეგ მათ ტაქტიკა შეცვალეს და თავდაცვით ბრძოლაზე გადავიდნენ, რადგან იერიში გამოა გუნდის დაქაქულობას იწვევდა. ამჟამა უპირატესობის მიუხედავად, სარკოვლებმა წარმატება ვერ მოიპოვეს.

მეორე ნახევარში შეხვედრებ უფრო გამძაფრდა. თბილისელთა მეკარის წაქცევამ სარკოვლებს პირველი გოლის გატანის საშუალება მისცა. მალე სტურმებმა მეორე ბურთი გაიტანეს და თამაში მოიგეს.

მესამე მატჩი სარკოვლებმა ჩატარეს თბილისის ნაკრებთან, რომელიც საკულტურო მოთამაშეები იყვნენ თავმოყრილი. მაგრამ იმედი არ გამართლდა — ისევ გამარჯვებულები სტურმებმა, ამჯერად ანკარიში 3:1.

კვირა-დღეს მართლაც დაძაბული მატჩი მოეწყო. ამჯერად სარკოვლები ბათუმის გუნდს შეხვდნენ ლენინის სახელოსნოს სტადიონზე. თამაშის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ სარკოვლებს საქმე ჰქონდათ ძლიერი მოწინააღმდეგეთა, რომელიც ასე იოლად არ დათმობდა პოზიციებს. ბათუმელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა. მათ გამოილი ფრთხილ შეუტეეს მოპირდაპირეს და მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთშივე სარკოვლთა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა.

პირველი გოლის შემდეგ ბათუმელებმა კიდევ უფრო გააცხოველეს შეტევა: შეუპოვრება იერიშებმა და ტაქტიკურად გამართულმა თამაშმა დაძაბა მეტოქის წინააღმდეგობის რკალი და ამის შემდეგ ბურთი სარკოვის გუნდის კარს არ მოშორებია. აქ ერთი მოულოდნელი ამბავი მოხდა: სარკოვლთა გუნდის მცველმა თავით მიღებული ბურთის სასურველი მიმართულებად გულს და თავისი გუნდის კარის

ხაღში გაასხვია. სარკოვლები ასეთ თამაშს არ ელოდნენ და, წინა მატჩებში იოლი გამარჯვების შემდეგ, დაიბნენ: ბათუმელთა უეცარმა და შეუპოვარმა იერიშებმა მათ ნაცად ტაქტიკის გამოყენების საშუალება არ მისცა.

სარკოვლებმა ბევრჯერ ამაოდ სცადეს ბათუმელთა ფრთხილად გარდევვა. და მაინც, პირველი ნახევრის დასასრულს მათ შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა.

შესვენების შემდეგ სარკოვლებმა კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს: ერთ-ბაშად გადავიდნენ იერიშზე და განუწყვეტელი გადაცემებით მოხვედრებს არ აძლევდნენ ბათუმელებს. ეს უკანასკნელი არ შედარდნენ და იერიშს იერიშით უპასუხებდნენ, მაგრამ მეტწილად თავდაცვას მიმართავდნენ, ვინაიდან საკულტურო მოთამაშის (ცენტრალური თავდასხმელი) მინდვრიდან გასვლამ ერთგვარად დაარღვია ძალთა თანაფარდობა. ბათუმელთა კართან რამდენიმეჯერ შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა, მაგრამ შევარბ ა. პაპოვის ფიზიკური თამაშის წყალობით სტურმების იერიშები მიზანს ვერ აღწევდა.

მართალია, ბოლოს სარკოვლებმა შეძლეს მეორე ბურთის გაქვითვა, მაგრამ ბათუმელთა დამარცხება მანაც შეუძლებელი იყო. ეს განაპირობა უმოკრესად ბათუმელთა თავდადებამ, ერთმანეთსა და მხარდაჭერამ. მათი მეკარე კი სომ პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. მაყურებელმა იგი მეუსარე ტაშით დააჯილდოვა ორი მკვდარი ბურთის აღებისთვის. ეს ინივიათი თამაში დამთავრდა ანკარიში 2:2.

10 დეკემბერს ლენინის სახელოსნოს სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ნაკრები და სარკოვლები. საქართველოს ნაკრები ასეთი შემაღენლობით თამაშობდა: შეკარე პაპოვი (ბათუმი), ფრუჩიძე (თბილისი), ბაბაიძე (ბათუმი), ანიკინი (ბათუმი), სიდოროშული (ბათუმი), კულვიცი, მდივანი, კაპიტანი შორდანია (ყველა — თბილისი) და სხვ. მსაჯობა ბ. სკოლსენი.

შეხვედრებ უადრესად საინტერესო გამოდგა. პირველ ნახევარს შედეგი არ მოჰყოლია, მეორე ტაიმის ბოლოს კი საქართველოს ნაკრებმა იერიში გააძლიერა. მოულოდნელად ბათუმელმა ფანჯლიამ მოხერხებული დარტყმით პირველი და ერთადერთი ბურთი გაიტანა სარკოვლთა კარში. შეხვედრამ დამთავრდა ანკარიში 1:0 ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების სასარგებლოდ.

10 დეკემბერს ქართველმა ფეხბურთელებმა გულბოლოად გააცილეს სტურმები.

12 დეკემბერს თბილისში ფოთელი ფეხბურთელები ჩამოვიდნენ. აქ ისინი შეხვდნენ თბილისის ერთ-ერთ გუნდს და დამარცხდნენ — 0:2.

14 დეკემბერს ფოთის გუნდი თბილისის ნაკრებს შეხვდა. სტურმებმა მასწრელ კარზე ტექნიკა უჩვენეს და მატჩიც უნეტურესო არ ყოფილა. გამარჯვა თბილისის ნაკრებმა — 5:2.

ასევე საინტერესო გამოდგა 21 დეკემბერს თბილისელთა ორი კოლექტივის შეხვედრა. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ უნივერსიტეტის პირველი გუნდი და ქალაქის ნაკრები. თამაში მოიგეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა — 4:1.

თბილისში ცნობად მოვიდა: საბჭოთა კავშირის ნაკრები სულ მალე თურქეთის (სტამბოლს) მიემგზავრება იქაურ გუნდთან სათამაშოდ, საქართველოშიც გამოიგონოს და თბილისსა და ბათუმში ადგილობრივ გუნდებს შეხვდება.

20 დეკემბერს მოეწყო თბილისის ფიზიკური კულტურის საბჭოს ბლენუმი, რომელმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა ფიზიკულურის შემდგომი განვითარების მიზნით. ამავე დროს აირჩიეს ახალი პრეზიდიუმი, რომელიც შედგებოდა: ქ. ქაცარავა (თავმჯდომარე), აბაშიძე, მამულა, გ. ვენატაშვილი, გერასიმოვი, რახანია და ს. კვიციანი (პასუხისმგებელი მდივანი). სამდივნოში აირჩიეს მამულა, ს. კვიციანი და ვ. ვინატაშვილი.

**3. სიღამონიძე.**



ამას წინათ თბილისში ჩატარდა ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი და თასის გათამაშება. სურათზე: შეჯიბრების მონაწილე მ. ცინცაძე (ლანჩხუთი) დვირზე ასპარეზობისას. მ. ზარგარიანის ფოტო.

## ლილი ინტერესი გაპოინვი

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ფიზიკულურისა და სპორტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გამსვლელი სესია, რომელიც ამ დღეებში წითელ წყაროში მოეწყო.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ფიზიკულურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გ. ყოჩიაშვილმა. მოხსენება — „ლანჩხუთის ორთაბუნის განვითარებასა და ჯანბრთვებაზე ფიზიკურის გარჯიშის სასარგებლო გავლენის შესახებ“ — წყიჯთხა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს ფიზიკულურის ინსტიტუტის პროფესორმა ბ. თევზაძემ. „შუბლ ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი ფიზიკულურული კომპლექსის მასობრივად დაწერების მნიშვნელობაზე დამსწრეთა ესაუბრა „ცოდნის“ ფიზიკულურისა და სპორტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი, ფუნდამენტალიზმის განვითარებელი ფეხბურთის 1972 წლის შედეგებზე“ აუდიტორიის წინაშე წარსდგა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოთელევიზიის სპორტული კომენტატორი ნ. ჯუღელი.

სესიამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მომხსენებლებმა პასუხი გასცეს დასწრეთა შეკითხვებზე. სტურმებმა დათვალეს რაიონული ცენტრის სპორტული ბაზები. სტადიონზე დაესწრნენ შუბლ კომპლექსის ნორმატივების მასობრივ ჩატარების.

„ცოდნის“ გამგეობის ხელშეწყობით მსგავსი ღონისძიება მოპოვალში რესპუბლიკის სხვა რაიონებში და ქალაქებშიც ჩატარდება.

**მ. თანაოვილი.**  
(ჩვენი ზეცე. კორ.)  
წითელი წყარო.

**საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოსი**

**ჩემპიონი ქართველი**

**ჩემპიონი**

მეტალურგის სტადიონზე საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა: ერთმანეთს შეხვდნენ „მეტალურგია“ და ქალაქის გეტერან ფეხბურთელთა გუნდი. დაძაბული ბრძოლა მეტალურგებმა მოიგეს — 4:3.

**3. ბანუგაძე.**

## ზაცრიმ ბალაქტილი ... შეჯიბრება

თბილისის ფიზიკულურის საქალაქო კომიტეტმა ამ რამდენიმე წლის წინათ კარგი ღონისძიება ჩატარა — რაიონების მოყვარულ მეტევეთა საქალაქო პირველობა. ტრადიციულად წლეულსაც გავრცელდა ამჯერად ტურნირი მდინარე ნაბზე (წითელი ხიდის მდამოებეში) ჩატარდა დღეებით — ჩანმართლობა.

სპარტაკიადის დებულებით, ნაკრები გუნდები დაკომპლექტებული უნდა ყოფილიყო ორმოც წელს გა-

დაცილებული მონაწილეებით. გუნდის წევრს უფლება ჰქონდა ეთვეზავა მხოლოდ ერთი ანკეისტი. შედეგები გუნდის წევრების მიერ დაჭერილი თევზის საერთო წონით განისაზღვრებოდა.

ჯერ მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა (მსაჯთა კოლეგიის სხდომა, სათევზაო ადგილების შეჩვენება, კარების დადგმა და სათევზაო ინვენტარის გაწყობა). მეორედღეს, 8 საათზე, დაიწყო ტურნირი, რომელიც 13 საათამდე გაგრძე-

და. I ადგილი წილად ხვდა ორჯონიკიძის რაიონის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტელები, გუნდის მწვრთნელი ი. სულაიშვილი, ა. ასიტაშვილი, ქ. საპოკი, ზ. ნოზაძე, გ. პაპაძე, გ. ოდილაძე, აგრეთვე, შ. ჩანანია. II ადგილი უნივერსიტეტის ინსტიტუტი და ქ. ვოლოკივი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი). III ადგილზე არიან ოქტომბრის, III — კალნინის რაიონების წარმომადგენლები.

შეჯიბრება ბევრად უფრო საინტერესო და შედეგიანი იქნებოდა, ერთი აღმაშთოებელი ამბავი რომ არ მოხდებოდა. მოყვარული მეტევეთა შეჯიბრების ადგილდანი ორიოდე კილომეტრით ზევით ვიდაც უცნობებს მდინარე მთელს სიგანეზე დაერთო გადაეკატათ. როცა ვითხებთ, გვიპასუხეს: ოფიციალური ნებართვა გვაქვს. ნუთუ მართლა ნებართვაა მდინარე ხრამზე კვირების მანძილზე ზემოთ აღნიშნული ხერხით თევზის განადგურება?

**3. პარაინივილი.**

# ახალი გზის დასაწყისი

საბჭოთა სითბოთა და სიყვარულით მათგან დასაწყისი გახდა მხოლოდ იმას, ვისაც წლების მანძილზე მისთვის სიხარული მოჰქონდა.

სპორტსმენი ერთხელ ტოვებს სარბიულს, მაგრამ ამ უსიამოვნო დღისთვის წლების მანძილზე ემზადება, ჩვენთვის, მათთვის, ვისთვისაც ეს ყველაფერი იყო გადასატანია. მივალთ ზეიშზე, მივინებთ ბევრ თბილ სიტყვას, გავიხსენებთ წარსულს, შესაძლოა ცრემლივც გადმოვგვივადეს, მერე გავერვივით მოსვივით ხალხის ტალღაში და მორჩა. სპორტსმენი კი იმ დღისას-სპორტსმენი საღამოს შემდეგ ახალ ცხოვრებას იწყებს, გაუტყვეველს, როგორც და ეტყობით სავსეს. სპორტსმენის ფსიქიკაში დიდი თვისობები ძირითადი ხდება. მან ერთ დღეში უნდა შეცვალოს ტვირთი, რომელსაც წლების მანძილზე სურვილი ატარებდა და აიკიდოს ახალი, მისთვის უცხო, შესაძლოა შეუფერებელიც კი. ამიტომ სპორტსმენის

გათამაშება, წლებულს ხუთ ზედა წონის კატეგორიაში ჩატარდა. აქ პოლონელებიც იყვნენ და ბულგარელებიც, მონგოლებიც, გერმანელებიც, ჩეხოსლოვაკელებიც, რუმინელებიც, ირანელებიც და, რა თქმა უნდა, საბჭოთა ათლეტებიც, რომელთა შორის ხუთნი ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდნენ. გათამაშება ხუთი პირადი ადგილი, რომლებიც განაწილეს: ერთმა პოლონელმა, ერთმა ირანელმა და სამმა ქართველმა მოჭიდებდნენ. მემორე ამსახსალო წონაში (74 კგ-მდე) I ადგილი ირანელმა მ. ბარზეგარმა დაიკავა. მან ორი ბრძოლა წმინდად მოიგო და სამივე ბრძოლით. II საპირით ადგილი ფ. ქემპულმა (გერ) დაიკავა, ხოლო III — ჩვენმა თანამემამულემ კ. სუთიაშვილმა (სხვათა შორის, ირანელთან ბოლო ბრძოლაში იგი ქემპულს განჯაგულებით მოიხსნა).

პირველ საშუალო წონაში (82 კგ-მდე) ბრწყინვალედ გამოვიდა თბილისელი რ. მარსაგიშვილი. ტურნირის მონაწილეთაგან მხოლოდ მან ჩაატარა შვიდი შეხვედრა და ყველა მოიგო. მარსაგიშვილმა თანმიმდევრულად დაამარცხა რუმინელი ი. დუმიტრუ (ქულებით), პოლონელი პ. მანუჩი (ამკარა უპირატესობით), მიხსკელი ბ. შობაშვილი (წმინდად), მინსკელი ა. ნაუმჩივი (ქულებით), გერმანელი პ. შტოტმაისტერი (ქულებით), მინსკელი ბ. მისალევი (წმინდად) და გერმანელი ვ. ნიტშე (ქულებით). მომდევნო საპირით ადგილები ამ წონაში დაიკავეს ნიტშემ და შტოტმაისტერმა.

მეორე საშუალო წონაში (90 კგ-მდე) პრიზი პოლონელმა ბ. კურჩევსკიმ მოიპოვა. II ადგილზე გავიდა თბილისელი შ. პაპაშვილი, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულთან დამარცხდა, ისიც ქულათა მიხიბლური სხვაობით. ყველა დანარჩენი ბრძოლა პაპაშვილმა მოიგო. III ადგილი ამ წონაში პოლონელ ფ. ემუშიევსკის ხელა.

მეოთხე საშუალო წონაში (90 კგ-მდე) პრიზი პოლონელმა ბ. კურჩევსკიმ მოიპოვა. II ადგილზე გავიდა თბილისელი შ. პაპაშვილი, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულთან დამარცხდა, ისიც ქულათა მიხიბლური სხვაობით. ყველა დანარჩენი ბრძოლა პაპაშვილმა მოიგო. III ადგილი ამ წონაში პოლონელ ფ. ემუშიევსკის ხელა.

მეცხე საშუალო წონაში (111 ადგილი) და ა. ატამანოვთან (II ადგილი).

მეექვსე საშუალო წონაში (111 ადგილი) და ა. ატამანოვთან (II ადგილი).



პოლონელი არ გომეო-ნა (პარაკის დაფან უ-ის მსოფლიო ოთხგზის ჩემპიონის ნონა გაფრინ-დაშვილის ვაჟი დაო). მ. ზარგარიანის ფოტო.

## მედველის პრიზის გათამაშება

გაცილებს დიდი ტაქტი და სიფაქიზე სტირდება, ხალასი და ბუნებრივი-სიყვარული, გულიდან წამოსული სითბო და ყურადღება.

ალექსანდრე მედველი, ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდებელი სპორტსმენი იყო. იგი გულთბილად გააცილებს, ისე, როგორც ნამდვილი ერთ-ერთი გმირი იმასხურებდა. და ამ უაღრესად ბუნებრივ გამოხატულებაში მითავარი ის იყო, რომ ყველა, დიდი თუ პატარა, წრფელი გულით ეთხოვებოდა საყვარელ სპორტსმენს.

იმ დღეს ათასზე მეტი კამერაა ნათურა ერთმანადა ჩაქრა მისთვის სპორტის სასახლეში. მერე განათდა ვებერდოლა ვერანი და ალექსანდრე მედველის გოლი სურმა ფიგურამ ნელი ნაბიჯით იწია ახლა სპორტის სასახლის შესასვლელისკენ. გერმანე გადამდგმული ბოლო ნაბიჯი იუბილარმა სპორტის სასახლის კიბეებზე გააგრძელა და ასე მოულოდნელად გატყვევდა მხოლოდ ჩემპიონის ხსენე მათგან და მის წარმოდგენაში.

გამოთხოვებას მუდამ თან ახლავს ამაღლებული სიტყვები, მილოცვები, მისალმებები, სურვილები. არც ეს დღე იყო ამ მხრივ გამონაკლისი. მედველს სპორტსმენიდან აცილებდა მშობლიური მინსკი, მთელი ბელარუსია, აცილებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სპორტული დელეგაციები, პიონერები, მოსტევი, ახალგაზრდები. ადგილებზე სპორტსმენმა მადლობა გადაუხადა ხალხს ამ დაფასებისთვის და... სახელოვანი მოჭიდავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირიც დაიწყო.

მერე კი, როცა შეჯიბრება დამთავრდა და გამოსათხოვარი ვახშამზე სტუმრად მიწვევულნი გზა დაულოცეს იუბილარს ახალ, სამწვრთნელ სარბიულზე, მინსკის ცაში ათასობით ნაირფერი მახალა აიჭრა. ის, ვინც უფრო ახლოს იჯდა ჩემპიონთან, აუცილებლად შენიშნავდა მედველს სახეზე გადმოვრდებულ კურცხალს. ზოგჯერ ერთხელ გმირსაც აქვს უფლება მოეცეს საკუთარი გრძნობების ტყეობაში. მან დაიმსახურა სიხარულიცა და ამ სიხარულის ფასად — ცრემლებიც.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, როგორც ა. მედველის სახელობის თასის



## „კავშირის ისარი“

როგორც ვიწყობდით, ბაქოში დამთავრდა აზერბაიჯანის ღია პირველობა მშვიდდონში. ცენტრის ხასხე გამოვიდნენ თბილისის, ერევნის, დუშანბეს, ხარკოვის, ბათუმის, კიროვოკანისა და მასპინძელთა წარმომადგენლები, ეს შეჯიბრება, რომელსაც აზერბაიჯანელი პოეზიის კლასიკოსის ვაგიფის პატრისაც მადლობა ეთქვამის. აქვია, ამერიკიდან ყოველ წელიწადს გაიძარბება.

ვაგათა შორის წარმატებით იასპარეზა თბილისის დინამოელმა ა. მედველმა, რომლისთვისაც წლებ

ვანდელი სეზონი ნაყოფიერი აღმოჩნდა: იგი სეზონს პირველობაში რიგისნად შეხვდა, ზაფხულში ბათუმში გამართულ იურიორთა რესპუბლიკურ პირველობაში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, ახლა კი ბაქოში, „მ-1“ ფარჯიში, პირველად შესწავლა სპორტის ოსტატის ნორმატივს (1070 ქულა) და ბაქოელი გ. რიბინის შემდეგ II ადგილი დაიკავა. ბათუმელმა ი. აკიბამ („კოლმეურნი“) პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

რ. პაპაშვილი.

# საკავშირო ჩემპიონატებზე

## ... ბაქოში

გუშინწინ ექვს ტურში გადადებული და გამოტოვებული პარტიების გათამაშება მოეწყო, მაგრამ ზოგიერთ შეხვედრაში შედეგი თამაშის განუახლებლად გახდა ცნობილი: ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) და ე. ფურმანს (ლენინგრადი) და გ. ტუმაიკოვს (ოდეसा), ვ. სილბერმანს (ორსკი) — გ. კუსნიხს (ვორონილოვგრადი).

ტუმაიკოვმა სწრაფად მოუგო ნ. რაშკოვსკის (კურაბი).

რ. სოლომეს (მოსკოვი) ეტლების უკეთეს ენდშილში ქონდა გადადებული პარტიები: რ. ჯინჯინაშვილთან (თბილისი) და ი. რაზუვაევთან (მოსკოვი). დიდოსტატს სელი მოეცა: მეტოქეებმა სასურველ ყაიხს მიადგინეს.

დ. ბრონშტეინმა ი. ბალაშოვს (ორივე — მოსკოვი) დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ეტრანაში, ორი პაიკის დანაკლისის მიუხედავად, პარტია ყაიხით დამთავრა.

გ. ბაგიროვმა (ბაქო) ე. გუგულს (თბილისი) პაიკი მოუგო, მაგრამ უპირატესობის რეალიზება მანაც ვერ შეძლო. თბილისელმა დიდოსტატმა ყა-

იმის რეალური შანსი შექმნა და მიზანსაც მიადგინა. მერე ბაგიროვმა წააგო ლ. ალბერტთან (ოდეसा).

პირველი მარცხის სიმწარე იწვინა ე. ვასილევსკიმ (მოსკოვი): მას მ. მუხინმა (ალმა-ათა) მოუგო. ა. კაპენგუტთან (მინსკი) გადადებული პარტია მუხინმა ყაიხით დამთავრა.

გამართა კ. გრიგორიანს (ერევანი) — მ. ტალის (რიგა) გამოტოვებული პარტია. შეხვედრა მე-17 სულაზე ყაიხით დამთავრდა. ერევნელი ოსტატი არ აყვავებდა მეტოქეს თამაშში. 6 ტურის შემდეგ ლიდერობა გ. ტუმაიკოვი და მ. მუხინს — 4,5-4,5 ქულა.

## ... ტოლიატიში

აქაც გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. სათამაშო იყო 15 პარტია. 4 შეხვედრა თამაშის განუახლებლად დამთავრდა: ლ. იდელინი და ნებენა ო. ანდრეევს (ორივე — ხარკოვი), ე. კოსლოვსკაია (პატიკორსკი) — ლ. საუნინას (სვერდლოვსკი), ე. ბაჩინა (ლენინგრადი) — ნ. კონოპლიოვს (მოსკოვი). ყაიხზე შეთანხმ-

დნენ ლ. შადურა (კურსკი) და მ. შული (ლევი).

ორი პარტია დამთავრა მ. რანიკუმ (ტალინი); დამარცხდა ანდრეევსთან და დაუსავდა იდელინს. ორი გამარჯვება იწვინა ნ. მედინიკოვამ (მოსკოვი) — მ. სამულთან (ტალინი) და ე. რუბცოვსთან (მოსკოვი).

„შავი დღე“ დაადგა გ. ბორისენკოს (ტამკენტი). მან ოთხ პარტიაში მხოლოდ ნახევარი ქულა დაატოვა (ყაიხი იდელინიანთან): წააგო შულთან, ა. კოსლოვსთან (ოსკი) და ლ. სემიონოვსთან (კიევი). სემიონოვამ კიდევ ერთი ქულა შეიძინა შადურასთან მოგებით.

ყაიხით დამთავრდა ა. ემუტინი (გორკი) — თ. ბელოვს (ფსკოვი) პარტია.

დაუმთავრებელი მხოლოდ სამულ — ემუტინის პარტია დარჩა. აქ ყაიხია მისალიდნელი.

15 ტურის შემდეგ ი. ლევიტინას (ლენინგრადი) 10 ქულა აქვს, ნ. კონოპლიოვს — 9,5, კოსლოვსკაიას, სემიონოვსა და შულს — 9-9.

# შედეგები და დასკვნები

ამას წინათ ბათუმში დამთავრდა საერთაშორისო მოსწავლეთა დი. საჭადრაკო ჩემპიონატი (შევიყარული სისტემით, 8 ტური), რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

გოგონათა ტურნირში I ადგილი დაიკავა მ. წერეთელმა (თბილისი) მე-14 სკოლა, IX კლასი, მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) — 7 ქულა. II ადგილზე მ. ჩიბურდანიძე (თბილისის 1-ლი სკოლა, V. ი. ჩიქოვანი) — 7, III — მ. მამისთავალოვა (თბილისის 102-ე სკოლა, IX. ა. სიხანიშვილი) — 5,5. IV-VII ადგილები გაიყვას ქ. გეგეიძემ (თბილისის 51-ე სკოლა, VI. ა. ბუსლავეი), ქ. გაჩეჩილაძემ (თბილისის 1-ლი სკოლა, VI. ა. წერეთელი), მ. კლიმჩუკმა (ქუთაისის რკინიგზის 23-ე სკოლა, V. დ. ჩირაძე), ა. ახმარაშვილმა (მოსკოვი) — 4,5-4,5.

გაბუჯთა ტურნირში პირველი 6 ადგილი ასე განაწილდა: I. ზ. ვინორისი (ლიტვა) — 7, II. ა. იუსუპოვი (მოსკოვი) — 6, III. გ. ჯანაშია (შუგდიდის 1-ლი სკოლა, VIII. თ. შოგინაძე), IV. ზ. ბურჭულაძე (თბილისის 102-ე სკოლა, VIII. თ. ლომია), V. გ. მენაბდე (ქუთაისის 31-ე სკოლა, VIII. დ. ჩირაძე), VI. გ. მისაბიშვილი (სოხუმის მე-6 სკოლა, IX. ა. გორგაძე) — 5-5.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ოსტატობის კანდიდატმა ბ. მაჭავარიანმა განაცხადა:

... კარგი შთაბეჭდილება დატოვა გოგონათა შეჯიბრებამ. წერეთელი და ჩიბურდანიძე მეტოქეებისგან ძალით აშკარად გამოირჩიოდნენ. სწორედ ამიტომ ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა მათ შორის გაიმართა. ფინისთან ისი-

ლმა, ოსტატობის კანდიდატმა ბ. მაჭავარიანმა განაცხადა:



ლი, ოსტატობის კანდიდატმა ბ. მაჭავარიანმა განაცხადა:

ნი ერთად მივიდნენ, ჩემპიონი კი კოეფიციენტთა ცხრილში დაასახლდა.

ტურნირის შედეგები გვიჩვენებს, რომ ჭაბუკებთან მწვრთნელებმა უფრო მეტი უნდა იმუშაონ.

აქედანვე შედეგდებით მოსწავლეთა 1974 წლის საპარტაკიანთვის მზადებას, ეს შეჯიბრება ჩვენი ძალების დამტკიცება გასლდა.

ტურნირმა ცხადყო, რომ თეორიული მომზადების პარალელურად აუცილებელია შეჯიბრებაში ხშირი მონაწილეობა. საჭიროა სპორტული კალენდარი ისე შედგოს, რომ ბავშვები არ გადაიღონ. მაგრამ ხშირად ასე არ ხდება. თბილისელი ჭაბუკი ზ. ახმაიფარაშვილი (მე-15 სკოლა, VI კლასი, მწვრთნელი მ. ინწკირველი) ჯერ ამიერკავკასიის მეგობრულ თამაშებში მონაწილეობდა, მერე თბილისის პირველობის შესარჩევ ტურნირში. ცხადია, მას ბათუმში თამაში გაუჭირდა და თავისი ძალა მთლიანად ვერ გამოავლინა.

ღია ჩემპიონატის შესაძლებლობას გვაძლევს შევარჩიოთ გოგონები და ჭაბუკები, რომლებიც 1973 წლის იანვარში კიშინიოვში მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. მინდა აღვნიშნო მოსწავლეთა ტურნირების საუკეთესო ორგანიზაცია.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი მზია წერეთელი.

ი. იუნაევის ფოტო.

# 6 ტურის შედეგები

თბილისში მიმდინარეობს რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის II ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობენ ოსტატები ე. უბილავა, ა. ბოკუა, ოსტატობის კანდიდატები — კლუბის შარშანდელი ჩემპიონი ე. მიქელაძე, გ. გამრეკელი, ვ. ვეხვიძელი, ზ. მიქაძე, ე. ექვთიმეიძე, გ. ბიბილაშვილი, რ. კახანაძე, მზია წერეთელი, ა.

კოტიარევი, პირველთაწრიოსნები გ. სინარულიძე, ზ. ზამახიძე და ზ. ახმაიფარაშვილი. საინტერესოა ითქვას, რომ ჩემპიონატის ნახევარფინალურში 64 მოჭადრაკე მონაწილეობდა. 6 ტურის შემდეგ ლიდერებში არიან ვეხვიძელი — 4 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბოკუა — 3,5 (1), უბილავა — 3 (2) და მიქაძე — 3 (1).

ალხანაშვილი 11 წლის აზნაიფარაშვილის მონდომებით თამაში. მან ყაიხს მიადგინა უბილავასა და მიქაძესთან შეხვედრებში. ჩემპიონატის დებულებით I ადგილზე გასული მოჭადრაკე საქართველოს თასის გათამაშების ფინალში მიიღებს მონაწილეობას, II ადგილზე გასული კი რესპუბლიკის ჩემპიონატის ფინალში.

გ. ვამილიანი, ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

• KOPANA • ΦΥΤΕΙΑ • ყუხუხუნი • LABDARUGAS •

ლიალოზი: „გოლი“ — კრუივი

კრუივი, რომელიც ფრანს ფუტბოლის „ბოლო კონკურსში“ ფეხბურთელად აღიარეს, დღეს ძალიან პოპულარულია. ეს პოპულარობა მან მოახვია არა მარტო ბრწყინვალე ოსტატობით, არამედ თავმდაბლობით და უარესი კორექტულობითაც.

კრუივი დაიბადა 1947 წელს ამსტერდამში. 10 წლისა ჩაირიცხა „აიაქსის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში, 17 წლისა უკვე „აიაქსის“ პირველ გუნდში თამაშობდა, ზოლო ვრთი წლის მერე პოლანდიის ვროცლავის ნაქრების წევრი იყო. იგი სამჯერ აღიარეს პოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად, რამდენიმეჯერ იყო ქვეყნის პირველი სნიპერი. სულ პოლანდიის ჩემპიონატებში კრუივს 160 ბურთი აქვს გატანილი.

პოლანდის ფურნალ „გოლს“ საინტერესო ტრადიცია აქვს: იგი თავს უყრის შვითხეულთა წერილებს რომელიმე გამოჩენილ ფეხბურთელზე, მერე რედაქციის წარმომადგენელი ამ ფეხბურთელს მოინახულებს ხოლმე, რის შემდეგაც „გოლი“ ბეჭდება ინტერვიუს.

გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ნაწყვეტს „გოლს“ მკითხველებისა და კრუივის ვრცელი საუბრიდან.

● როცა სპორტულ კარიერას იწყებდით, გვავლათ თუ არა საუბურითი კერა?

— კერა ყველა ახალბედა ფეხბურთელს ჰყავს. მეც მყავდა ისეთი მოთამაშე, რომლის ოსტატობა დღემდე სამაგალითია. მას ალფრედო დი სტეფანო ჰქვია.

● რომელმა მატჩმა მოგიტანათ ყველაზე დიდი სიხარული? რომელმა გაგამწარათ ყველაზე მეტად?

— ჩემს ცხოვრებაში უბედნიე-

რესი მატჩი ვახლდათ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლებადღეა ფინალი, სადაც მილანის „ინტერი“ დაეპირაბო. მე მაშინ ირი გოლი გავიტანე. ყველაზე მწარედ მოსაგონებელი მატჩი 1966 წელს გეტყობდა ჩეხოსლოვაკიის ნაქრებთან.

● შეუძლია თუ არა „აიაქსს“ ჩემპიონთა თასი ზედინედ შესამედ შიგვოს?

— ჩვენი ვაირვბო ასეთ „სუთორის“ მივალწით, თუშცა ეს ძალიან ძნელი იქნება.

● რომელი გუნდის წინააღმდეგ გვირთ ყველაზე უფრო თამაში? რომელი მცველის წინააღმდეგ?

— ერთი რომელიმე გუნდის დასახელება ძნელი იქნება, მცველებიდან კი გამოვყოფდი თქვენს პოპულარულს, რომელსაც დიდ პატივს ვცემ.

● ხაერთაშორისო კლასის რომელ ვარსკვლავს აფასებთ ყველაზე მეტად?

— როგორც მოგახსენეთ, ყველაზე მეტად ვაფასებ დი სტეფანოს, შემდეგ — პელეს.

● ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლებულს ევროპის № 1 ფეხბურთელად დაასახელებენ მენჩენგლადაზის „ბორუსიის“ ნახევარმცველს ვიუნტერ ნეტერს. რას იტყვით ამაზე?

— ნეტერი დიდი ოსტატია, მაგრამ საკითხს, გავა თუ არა იგი ევროპის № 1 ფეხბურთელად, არც თქვენ წყვეტთ და არც მე. საამისოდ ნეტერმა სპორტული ფურნალისტების სიმეზბის უმრავლესობა უნდა მიიღოს.

● როგორი სიხშირით ვარჯიშობთ? რამდენ მატჩს თამაშობთ წელიწადში?

— ვვარჯიშობ ყოველდღე. დასვენება არა მაქვს, სეზონის დროს კერაში საშუალოდ ორჯერ ვთამაშობ, ესე იგი, დაახლოებით 55-65 მატჩს სეზონში.

● პოლანდიის საუკეთესო კლუბები ჰყავს, მაგრამ ნაქრები უფორულად თამაშობს. რითი ხსნით ამ ამბავს?

— მე ნაქრების მწვრთნელი არა ვარ. იგი უკეთ ვეცოდით ამის მიხედვს. მხოლოდ საკუთარ აბრს მოგახსენებთ: საკლუბო გუნდებში ფეხბურთელები თავგანწირვით თამაშობენ, ნაქრებში — უფრო გულგრილად.

● გემინიათ თუ არა უხეშად მოთამაშე მცველებისა, ვტყვით, ისეთებისა, როგორიც „გლასგო რვიინგის“ და „ინდემენდინგის“ ჰყავთ?

— არ მემინია.

● ფეხბურთელის რა თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად?

— უპირველეს ყოვლისა, თამაშის ხალისსა და წყურვილს, შემდეგ — ტექნიკას.

● ღვინოს თუ სვამთ, თამაშის თუ ეწვივით?

— ვწვივი ცოტათუნს. ვსვამ ხანდახან ერთ ჭიქა ღვინოს, მეტს არა.

● რას უსურვებდით ახალგაზრდა ფეხბურთელებს?

— შეუხეშებლად, ყოველდღეურად ივარჯიშონ, ნუ გააძაფრებინ, იყვნენ თავმდაბლები.

● ეს სურათი შარშანაა გადაღებული ამსტერდამში, როცა პოლანდიის პირველობის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ ეროვნული ფეხბურთის ლიდერები — ადგილობრივი „აიაქსი“ და როტერდამის „ფეიენოორდი“. გარღვევაზე გასული ი. კრუივი (თეთრ მისურში) „ფეიენოორდის“ მოთამაშე რ. ისრაელმა მოცულა. მარცხნივ — როტერდამელი თ. ლანგროსი.

— ამ მატჩში ვაიმარჯვა „აიაქსმა“ — 2:1.

✓ ანს-ს (ამსტერდამი) ფოტო.



ი. კრუივი

შესარჩევნი მატჩები

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აფრიკის ზონაში მაროკოსა და სენეგალის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის ფრედ დაიბრუნდა — 0:0. საბასუხო თამაში დეკემბერში მოგვწყობა სენეგალში. აფრიკის ზონაში ფინალისტის გამოვლენა სამ ეტაპად ხდება. ამჟამად პირველი სტადიის მატჩები მიმდინარეობს.

უფს-ს ტურნირის მორიგი შესარჩევი მატჩი ეგვიპტისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს შორის გასულიყოფილ იუგოსლავიელ იუნიორებს ბერძენი თანატოლები შეხვდნენ. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1.

სსრკ — ბურ

1978 წლის 5 სექტემბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან სსრკ ვაშისა და გურ-ის ნაქრები გუნდები. დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ეროვნული გუნდის საკისო გამოცვლების პროგრამა. ზემოაღნიშნული შეხვედრის გარდა პროგრამა ითვალისწინებს მატჩებს ბრაზილიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, შოტლანდიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაქრებ გუნდებთან.

ავსტრალიელ მოცურავთა გეგმები

ავსტრალიაში ზაფხულის სპორტული სესიონი დაიწყო. ამ ქვეყნის მოცურავეებმა ბრისბენში, სიდნეიში და ადელაიდაში გაიმართეს პირველი შეჯიბრებები, რომლებშიც ოლიმპიელებიც მონაწილეობდნენ.

200 მეტრზე ქალთა შორის ბრასიოტ ცურვაში მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა უიტფილდმა სიდნეიში იერიში მიიტანა ამერიკელი ბოლის მცირე 1968 წელს დაპირებულ მსოფლიო რეკორდზე (2:38,5). უიტფილდმა თავიდან კარგად დაიწყო და 100 მეტრი სარეკორდო გრაფიკზე სწრაფად გადურა (1:16,9), მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარზე ტემპი შეანულა, თუმცა საბოლოოდ მაინც კარგ შედეგს მიიღწია — 2:39,3. ამ წარუმატებელი ცდის მიუხედავად, უიტფილდი იმდენს არ კარგავს: მან განაცხადა, რომ ამ სეზონში ბრასის სტილით ცურვის ორივე დისტანციაზე მსოფლიო რეკორდებს განახლებს.

ასეთივე აზრისაა გოულდის, რომელსაც მეტად გაბედული გეგმები აქვს. ავსტრალიელ სპორტულ კომენტატორებს მან უთხრა: ამ სეზონში თავისუფალი სტილით ცურვის ხუთივე დისტანციაზე და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიო რეკორდების დამყარება მსურს. ამ ნიჭიერ ქალიშვილს დაგეგმილი აქვს 100 მეტრზე 58 წამი აჩვენოს, 200 მეტრზე — 2:03,0, 400 მეტრზე — 4:18,5, 800 მეტრზე — 8:53,6, ხოლო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2:22,5.



1970 წელს ჩემპიონი გახდა... როკი მარჩიანო

მარჩიანო კომპიუტერის მართვას ათასგვარი მონაცემები, კინომატეხები, სარჩიო ინფორმაციები და ა. შ. შეეცადნენ მანქანის დაბმარებით გადაეწვიათ სადავო საკითხი — ვინ იყო მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოცურავე. კომპიუტერმა 1970 წლის 20 იანვარს (პროგრამირება ერთ წელიწადს გრძელდებოდა) I ადგილი მიაუღო როკი მარჩიანოს, 11 — ჯეკ ლუსს.

მუშავედ ალიმ V ადგილი დაიკავა (სონი ლისტონ-თან გამარჯვების შემდეგ მას თავი მსოფლიოს უდიდეს მოცურავედ მიაჩნდა). მაქს შელინგი X ადგილზე გავიდა.

კომპიუტერის დახმარებით თეთრკანიანებმა ჩემპიონობა დაიბრუნეს, ბოლო დროს კი სინამდვილეში მძიმე წონის მოკრივეთა შორის პეგეშონია შავკანიანებს ეკუთვნის. კრივის უახლეს სტორიას შავკანიანები წერენ. იმას შეუხედავად,

რომ რინგზე შავკანიანი დგას შავკანიანის პირისპირ, რასობრივი ბრძოლა მას თავი მსოფლიოს უდიდეს მოცურავედ მიაჩნდა. მაქს შელინგი X ადგილზე გავიდა.

კომპიუტერის დახმარებით თეთრკანიანებმა ჩემპიონობა დაიბრუნეს, ბოლო დროს კი სინამდვილეში მძიმე წონის მოკრივეთა შორის პეგეშონია შავკანიანებს ეკუთვნის. კრივის უახლეს სტორიას შავკანიანები წერენ. იმას შეუხედავად,

შავკანიანი ჩემპიონი, ამერიკელების მიხედვით, უნდა იყოს ლომი, რომელიც ყოველ თეთრკანიანს ელაქუტება.

თვით ყველაზე სუსტი თეთრკანიანი თავს გრძნობს სუპერმენად, გოლიათების მძლეველად, დიდ თეთრ მონადირედ, რომელსაც საბელზე მუავს გამოხედილი თეთრების შიერ მითივინიერებული ვიკანტური შავი მაიმუნი. მაგრამ, როგორც კი მაიმუნი სა-

ბელს მოიშორებს, თეთრკანიანი მკილბს იცემს მეტრდში და თავს უძლიერესად აცხადებს...

მუშავედ ალი ბირველი „ლომია“, რომელმაც აწვევა სცადა. თეთრები თვითონ ვეღარ ბედავენ რინგზე ასვლას, მაგრამ ეძებენ მორჩილ, თვინიერ, საბელზე გამოხედილ „ლომებს“, რომლებმაც განთავისუფლებულ, დამოუკიდებელ ალის ჰქუუნდა ასწავლონ...

რინგზე რასობრივი ბრძოლა გრძელდება...

კრივის ამბები